

ი ა ბურღული

360

ბრადუსი

2013-2020

ჰუბლჰნი მამებს



თბილისი 2020

ია ბურდული  
**360 გრადუსი**

რედაქტორი და კომენტარები: თამარ კვაჭანტირაძე  
მხატვარი: ანა ჩახვაძე  
დიზაინერი: ზაზა ტურაბელიძე

ISBN 978-9941-8-2319-0

უაკ(UDC) 821.353.1-1

ბ - 966

თამარიონი 2002

გამომცემლობა ზებრა

E-mail: [zebrabooks@ymail.com](mailto:zebrabooks@ymail.com)

თბილისი 2020

# ია

1. ია (ლათ.*viola*), მცენარეთა გვარი იისებრთა ოჯახისა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, აქვს თეთრი, ვარდისფერი, იისფერი მარტოსული ყვავილები; იზრდება ტყეში, მდელოებზე, კლდეების ნაპრალებში, ჩამონახვავებზე.
2. ძველი ბერძნული მითის მიხედვით, აპოლონის დეენისაგან შენუხებულმა ატლასის ქალიშვილმა დახმარებისთვის ზევსს მიმართა, მან კი გოგონა იად გადააქცია და ზეციურ ტყეში დამალა. შესაძლოა, ადამიანებს ვერასდროს ეხილათ ეს ყვავილი, რომ არა პერსეფონეზე შეყვარებული ჰადესი. მან სწორედ მაშინ მოიტაცა დემეტრას ქალიშვილი, როცა ის იებს კრეფდა. პერსეფონე გაქრა, დარჩა მინაზე მობნეული იები. ალბათ, ამ მითის გავლენით მიიჩნიეს ბერძნებმა მნუხარებისა და უდროოდ გარდაცვლილი გოგონების ყვავილად ია.
3. ანტიკურ ეპოქაში ია უყვარდათ – რთავდნენ სახლებს, ტაძრებს, ღმერთებს. მას გაზაფხულისა და ბუნების გაღვიძების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ.
4. ია იყო ათენის სიმბოლო და მას იის გვირგვინიანი ქალის სახით გამოხატავდნენ.
5. იას „მარტოობის ყვავილსაც“ ეძახიან, რადგან ძლიერი ქალური ენერგეტიკა აქვს და მის გვერდით მამაკაცურ ენერგიას უჭირს.
6. ასტროლოგთა აზრით, ია ძალიან მგრძნობიარეა ოჯახის ფსიქოლოგიური მიკროკლიმატის მიმართ, ოჯახის ჰარმონიის, სტაბილურობის სიმბოლო და ნეგატიური ენერგიისაგან სივრცის საუკეთესო „გამწმენდია“.

**თეთრი ია** - მგრძნობიარე ადამიანებისთვისაა და დამამშვიდებლად მოქმედებს, სულიერ ტკივილებს აამებს.

**ვარდისფერი ია** - ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, მავნე ჩვევების დაძლევაში დაგეხმარებათ.

**იისფერი ია** - სიბრძნის სიმბოლოა და ადამიანურ ურთიერთობებს „ავგარებს“.

# ბურდული

1. საქართველოში სამი ათასამდე ბურდულია, აქედან თბილისში: 1150+1. ☺

გვარი წარმოიშვა მამაკაცის საკუთარი სახელიდან - ბურდი, ბურდუ, მთიულეთში, მლეთის თემში.

2. ლეგენდა „ლომისის ყმებზე“, ანუ ბურდულებზე:

მლეთის სოფლებს ხშირად ანიოკებდნენ ოსები, საცხოვრებელს და ოჯახს უბილწავდნენ მთიულებს. წინააღმდეგობის გაწევა ცხრა ძმა ბურდულმა გადანყვიტა და საკუთარ ციხეში ჩახოცა მტერი. შემდეგ კი მტრის რევანშის გამო შეშინებული მთიულები დარაზმა, საბრძოლო ჟინი გაუღვიძა და, სწორი სტრატეგიული გათვლებით, მტერზე გამარჯვებაც მოაპოვებინა. მადლიერმა კუთხემ უპირობოდ აღიარა ბურდულები „ლომისის ყმებად“ და პრივილეგიებულ გვარად, რომლიდანაც ირჩეოდა დეკანოზი, მათი ხელიდან შეიწირებოდა და შესაწირიდან წილი ერგებოდათ, ბურდული ყოველთვის სასურველი სტუმარი და ყველასათვის სანატრელი სიძე იყო.



რას არის ლექსში ბოლო?

ყიპტილი ან სიგელა?

სიგელა ან ყიპტილი?

ქვემოთ ან ზემოთ?

იქნებ იმედი, ემოცია...

უცხოური ნიშნები, სარგებლობა

რეალური და დაუთარგმნელი

დადასტურებელი სიყვარული!

იქნებ სივრცე, სიღრმე, სიზოგადობა

ვაჟი და ქალი, მამა და მამა, მამა

მეგობარი და მეგობარი!

სიღრმე და სიზოგადობა —

„ქვემოთ და ზემოთ“ — ყოველთვის

„ქვემოთ“ არის! იქნებ სიღრმე

და სიღრმე, სიზოგადობა და სიზოგადობა

მთელი ქვემოთ სიღრმე,

360 გრადუსი

და სიღრმე სიღრმე!



# სატჩუი

მედეა 11

## I. გუშინ და ხვალ

|                                                  |    |
|--------------------------------------------------|----|
| იყო და, არა იყო რა...                            | 13 |
| ნუ დარდობ                                        | 14 |
| ლაზარე                                           | 15 |
| უცბად                                            | 16 |
| გზა ჯვარედინი                                    | 17 |
| ესეც ადამიანურია?                                | 18 |
| თურმე ყველაზე ტრაგიკული                          | 19 |
| რა არის სასწაული?                                | 20 |
| წერილი ხიდს გალმა                                | 21 |
| იყო კაცი ერთი... ანდა ამბროზია                   | 22 |
| ლიმილი                                           | 23 |
| 1. გარდაცვალება?                                 | 24 |
| 2. დაბადება                                      | 25 |
| მაგდალინელი                                      | 26 |
| თანამგზავრები                                    | 27 |
| ისევ ცხოვრებაზე                                  | 28 |
| სიტყვა ჯვარს აცვეს ერთი და ... სიტყვა იყო ღმერთი | 29 |
| ნათლობის საიდუმლო                                | 30 |
| ისევ და ისევ                                     | 31 |
| აღდგომა                                          | 32 |
| იოანე                                            | 33 |
| გიაშობი ისევ გალაკტიონზე                         | 34 |
| დღესაც იუმორით                                   | 35 |
| <b>დაბოლოს</b>                                   |    |
| ვინ? ხატად ღვთისა?                               | 36 |

## II. დღეს

|                             |    |
|-----------------------------|----|
| ეკლესია - სტე               | 39 |
| ესეც დიალოგია               | 40 |
| ნუთუ ჯარისკაცები ვართ?      | 41 |
| მარიამი-მარიამი             | 42 |
| არ ვიცი                     | 43 |
| მიკროკოსმოსი                | 44 |
| თანამშრომლები               | 45 |
| დრო                         | 46 |
| რა არის მითი?               | 48 |
| სჯობს იყოს უსათაურო         | 49 |
| რა არის?                    | 50 |
| მთავარი ფორმულა?            | 51 |
| თხემი                       | 52 |
| ტრიალებს წელიწადები         | 53 |
| რა არის პორტრეტი?           | 54 |
| მოდელიანი                   | 55 |
| ფორტეპიანო                  | 56 |
| შენწყვეტილი ლექსი           | 57 |
| შობის ვარსკვლავი            | 58 |
| გასაუბრება სულზე            | 59 |
| დაკარგული ტერიტორიები       | 60 |
| მოგონება თუ გამოგონება      | 61 |
| რა გითხრა?                  | 62 |
| ბრუნავს და ბრუნავს          | 63 |
| ხუმრობ?                     | 64 |
| ოთარ ჭილაძე                 | 65 |
| ზღვა ღელავს?                | 66 |
| თაიგული: ქრიზან - თემები    | 67 |
| და ისევ ვცეკვავთ?           | 68 |
| სიმძიმე                     | 69 |
| და... ისევ მძიმე დღეებია... | 70 |

|                                    |    |
|------------------------------------|----|
| აპრილები მეორდება, მგონი...        | 71 |
| წითელი პარასკევი - ყოველ წელს      | 72 |
| პასუხი ექსპრომტად                  | 73 |
| სიარული                            | 74 |
| საით?                              | 75 |
| ჩუმი შემოდგომა - იმპრესიონიზმი     |    |
| ისევ თანამგზავრები                 | 76 |
| მაყვლოვანი                         | 77 |
| სულთმოფენობა                       | 78 |
| შენ ხარ..!                         | 79 |
| დასაფლავება - უმბერტო ეკო          | 80 |
| მზე შინ შემოდი                     | 81 |
| ცუდი ლექსი                         | 82 |
| რუსთაველს, შოთას                   | 83 |
| ფრაგმენტი                          | 84 |
| ნინოს                              | 85 |
| ლოცვა - კურთხეულ ხარ...            | 86 |
| ცეკვა-ტრიალი                       | 87 |
| განადგურება - ფანდები,             |    |
| გრძელდება აბსურდის კადრები!        | 88 |
| ერთხელ? ისე ჩვენზე, ადამიანებზე... | 89 |
| წერილი                             | 90 |
| მიჭიკჭიკება                        | 90 |
| ფლობერის მთარგმნელთან გასაუბრება   | 91 |
| მამაშვილობა                        | 92 |
| ლოცვა – „იხილეთ და განიცადეთ!“     | 93 |
| ჟამიანობის ჟამი!                   | 94 |
| გახსოვს კანაში?!                   | 94 |
| გზაზე მარილის ლოდი?                | 95 |
| მარცვალი                           | 95 |
| <b>დაბოლოს</b>                     |    |
| დედამინა                           | 96 |



## ბოღა

(იყო ქალი და იყო ეული  
იქნებ ძლიერი, მართლა გრძნეული?)

ეს მე ვიყავი ოქროს სანმისი,  
შენ მისი ძალა, ალბათ, არ იცი?  
ეს უკვდავების ოქროსფერი ნაპერწკლებია,  
ვერ დაინახავ, თუ ჩემსავით არ გყვარებია!  
და, როცა დადნა შუქი სხივების  
მე სამსხვერპლოსთან მაშინ მივედი!..  
ტკივილებისგან ზუსტად არ ვიცი,  
მაგრამ ამბობენ, რომ გავხდი „შიში!“,  
იცი, როგორი გავრცელდა მითი? –  
ვერ ვარკვევ ნისლში:  
ვინ არის მტერი,  
ვინ კი სანყალი,  
ვინ არის მკვლეელი,  
ვინ კი მართალი.

იაზონს სცმია სიკვდილის წინ  
ცალი სანდალი...



# I

## გეშინ და სვალ



იქტ ღა, ატა იქტ ტა...

„რაოდენ უყავთო ამათგან მცირედს“,  
გგონია, მივიღებთ ნამდვილად იმდენს?  
მაგრამ მე არ ვიცი, რა არის საზომი –  
გრძნობებს ხომ ვერ წონის უბრალო სასწორი!  
ბორბალი ზოგჯერ უკანაც წავა  
ხომ გაგია? – „იყო და არა“,  
რომ თენდებოდა, კვლავ ბინდდებოდა,  
„ღვთის უკეთესი რა იქნებოდა„?

2013

## ნუ დატრბ

ვიცი, სიშავე გზარავს,  
ბინდი აწყდება ქალაქს,  
ცაზე რა დაღევს ვარსკვლავს,  
მინაზე – ველის ბალახს?  
მინდა, გიამბო „ფერზე“ –  
კარგად შეხედე შრომანს:  
თურმე სოლომონ ბრძენზე  
ძვირფასი კაბა მოსავს...

„თავი იგი ვადას,  
ხოვროდოთ არს  
ღეხვალთ იმისა ჟამსა“

- როგორ წერია ტექსტში? ქ. ა. ნ. 26-30
- ხვალ ჩაყრიანო ცეცხლში! წმ. იოანე მოხმანდა ქადაგებას

2013

ლოგატუ      მოაბი წიხიჭ  
 „სახალაო ჟინა ამა ენაა  
 ლაგაჲ ჰქონ.“

ზოგი ყვაველი გარედან ყარს,  
 მაგრამ გულიდან იძლევა თაფლს,  
 ამაღამ სევდა მოიკლავს თავს –  
 და...  
 გაცოცხლების მართლა არ გწამს?  
 ყოველი სიბრძნე „ამა ენასა დამარხულ არს“!

2013

უცმად

(ფაუსტური სინდრომი)

– მინდა, რომ გავხდე დონორი!

ჰო, მომემატა გონორი:

თუ ჩააბარებ სულს,

იქვე მიიღებ ფულს!

– და, ვითომ მართალ სიყვარულს?

– იცი? სიკვდილსაც პიკანტურს!

2013

გზა ჯუარდინი  
(წითელი პარასკევი)

„პირველად იყო სიტყვა!“

ასეთი ნეტავ რა ითქვა?

ერთი ყოფილა შვილი – მშობელი:

მხრებით ვატარე წუთის-სოფელი,

მე შევიყვარე ტოტი ყოველი,

ჰოდა, აყვავდა ძელი ცხოველი!

წიგნი

ლ. ჯიქია - ქრისტე

ჯუარდინი

ჯუარდინი -

სიყვარული

2013

## ესეც ადამიანუბია?

(მიბერავს ორპირი ქარი)

– მგონი, გულს გინუხებს მავთულები?  
ცხოვრებას მუდამ ართულებდი.  
წამოდი, გავიაროთ ხიდზე,  
ასე უნდობლად ნუ მიმზერ!  
მინაზე ყოველთვის მხვდებოდა ხლართები,  
მაგრამ იქვე იყო პატარა კარები.  
– თუ გინდა, სხვა ქუდი დაიხურე!  
თუ წახვალ, კარი გაიხურე!


2013

## თქმე ყულაჯი ცტაგიული

იცი, მახსენდება სახლები დამზრალი,  
პატარა სიცოცხლე, – უეცრად გამქრალი?!  
და, როცა მომიჭერს ტკივილი მარნუხებს,  
ყველაზე ძალიან, იცი, რა მანუხებს?

გრძნობები ფართო ეკრანზე გაკიდული  
და...  
მეხსიერება, ყველაზე ტრაგიკული.

2014



## ბა აბის სასწაული?

გინდა, იხილო სასწაული,  
უცნაური და არნახული?  
ზოგჯერ ინილბება მისტერია,  
რომ არ შეგეყაროს ისტერია.  
– ყველა ფერმა იცის ნოტები თავისი,  
არ გიკვირს, რომ ხედავ: ფეთქდება აისი!  
ან იბადება სიცოცხლე!  
– ხალისი?  
– ამაზე ფერადი, ნეტავი, რა იცი?

2014



## წიტილი სიდს გაღმა (ერთი ფილმის რეცენზია)

ხომ იცი, ყველა სუნთქავს – ცოცხალი  
ჰოდა, ტრიალებს დაკარგული დროის ბორბალი...  
დღეს გამამტყუნეს, გუშინ გავმართლდი, როცა მოგკალი –  
იცვლება ხოლმე ხალხში მორალი...

ნუთუ ერთია, საით იქნები?

თუნდაც ავიღოთ ძველი მითები –

აგამემნონის ბოლო წამება...

შური იძიეს თურმე ქალებმა!

დარდმაც რომ თავი არ დამანება!

უბრალოდ მინდოდა, რომ რაღაც მეთქვა:

იქნებ მიშველის გულის გადანერგვა?

ან სულს შევიძენ, თუნდაც „არენდით“,


ვისეირნებდი სხვისი „კარეკით“!

პასუხი:

– ნეტავ, რად მინდა იჯარა?

– იცი, რამდენმა მიქარა?!

2014



იყო კაცი უბოროტი...

ანდა ამბობდნენ

1. ანდრეი პანკოვი  
2. ანდრეი პანკოვი

ზღაპარს სინამდვილე უთანხმდება?

ნუთუ მოიპოვე უკვდავება?

ხომ არ გიგემია ამბროზია?

ანი სიყვარული რა დროსია!

უნდა დაიჩემო ცა და მიწა?

ადამს ვაშლი მართლა ევამ მისცა?

ამას მგონი, ჰქვია ანექსია

და, რომ დაგემართოს ალერგია?

P.S.

წლები თურმე მაინც გაგცვეთია,

რას იზამ, ცხოვრება ა-სეთია!

2014

ღიმილი

შინა,  
„... სიყვარული და მზრუნველობა...“

თურმე ღალატი სხეულსაც აფრთხობს  
და, სულთან ერთად, რაღაცას დარდობს...  
და სიხარული მიყუჟულა სადღაც კუთხეში?  
ისე ვიკითხე, კი არ მინდა, ვიყო უხეში.

2014

# 1. გატაცვა?

(ნელიკო)

ელექტრო-მაგნიტური ტალღა,  
გგონია, უკვალოდ გაქრა?  
აკი, სიძულვილიც არ ჩანს,  
ცხოვრება მაინც ქაჩავს...

მაგრამ ეს, ხომ იცო, თითქმის არ შუქდება,  
ბოლოს კი თვალებში მზე მართლა ლურჯდება.

2014

## 2. დამადრმა

„ჩემი სიკვდილიო“, – გახსენებენ ზოგჯერ,  
მართლა მოდიხარ ორჯერ –  
აბა, რა არის დაბადება?  
მხოლოდ სიყვარული არ მთავრდება...

ზოგჯერ მიგივიწყებ, სულაც აღარ გელი  
და მაინც, რა არის შენი სანრეტელი?

2014



მაგდალინელი

იოანე 20, 11-18

– იცი, დღე იყო მაშინ მზიანი,  
ან იქნებ სულაც ქარბუქიანი,  
როცა გაოცდა ადამიანი,  
ნდობა? კი, იყო ცოტა გვიანი...

– მაშინვე იგრძნო გულზე სალბუნი,  
როცა შეიცნო თავის რაბუნი,  
ქალი ყოფილა, თურმე, პირველი!  
– ჰო, მარიამი, მაგდალინელი.

2015

## თანამგზავი

ბოლნისის იქით... (это на лево!)

– ქვის მეტყველებამ ენა წამართვა,  
ეს გზა მიგვიყვანს შემდეგ ტაძართან?  
რატომ ვერ იკავენ ღიმილს?  
სულაც არ ვაპირებ ტირილს! –  
გონებას ფანტავო გზებზე,  
მხოლოდ დადიხარო წრეზე!  
აი, ხომ გავცდით მინარეთს?  
მზეც ყოჩივარდებს გვინათებს!  
– მგონი, ამოვწურეთ სათქმელი,  
– იქნებ გამოაღო სარკმელი?

– ნაგავსაყრელია გვერდზე –  
ამბავი ჩემს ნაფლეთებზე!

2015



## ისუქ ცხთუბუმაჭუ

– იცი, ერთი რამ მინდა, გიამბო:  
ზეცამ სამყაროს მაღლი მიაგო,  
მაგრამ მოცოცდა მინაზე შური –  
ცხოვრება გახდა თავისებური...

(– რთული?

– ყველაფრისათვის გჭირდება ფული...)  
ჰოდა, არ ვიცი, რითი გიშველი?!

– დავიბადე და  
თურმე სიკვდილსაც ვხვდები შიშველი.

2015



სიფყა ჯუაბს აცუქს ებთი

და...

სიფყა იცთ ღბუბთი

(გიორგი ჭანტურია)

ადრეც ხომ მოკლეს სიტყვა

და ერთს მეორე მიჰყვა!

ქარი წაიღებს ექოს,

იქნებ უპოვარს ერგოს!

2015

## ნათლმის საიდუმლო

მინა გარეცხა წყალმა – სიყვარული შვა ქალმა

ძვრო და ასეო  
ნოე და ცოცხალი შვილი

„შეურაცხყოფელთ არ აღდგებოდა“,

რომ ღამდებოდა კვლავ თენდებოდა,

უსასოება არ ერეოდა!

და იცი რატომ? –

გრძნობებს ხომ ხშირად აწვიმს და ათოვს?

სიყვარულს თურმე არ ელეოდა!

2016

## ისევ და ისევ...

დღეს ტელეფონით მუდმივად ვრეკავ  
და, ჯაზის ნაცვლად, ცხოვრებას ვრეპავ...  
უნდა დალიო ვისკი? –  
ყოველთვის არის რისკი!  
მოდით, შევძახოთ „ჰოპლა“!  
მერე რა მოხდა, თუ კაცმა კაცი ხანდახან მოკლა?

2016

## აღღამება

(ისევ ჩვენზე ადამიანებზე)

იცოი, რა არის გარდაცვალება?  
თურმე ტკივილის ან დანყება, ან დამთავრება!  
ერთად ვიქნებით?  
ქრება ფიქრები...  
ხან მეცინება, ხან მეტირება:  
სილის განვნაზე,  
ამბორზე,  
ფასზე  
და ეშმაკურად მოკეტილ კარზე,  
გადაგორებულ უცნაურ ქვაზე.

დრო არსად მიდის:  
„მე ვძლიე სიკვდილს!

2017

ითანუ

სიყვარულისგან კრთებოდა ყრმა!  
ძნელია ამის დანახვა, თქმა,  
თუ ვერ იგრძენი,  
სად შეერთდა მიწა და ცა.

ჰო, მოსწორება ბილიკების  
დავინყება ტკივილების.

2017

## გიაბმბმ ისჟუ გალაჟციტნზჟ

მე შენში ვხედავ გზას და სამყაროს,  
როგორ იშლება ლურჯი იები...  
და სიყვარული როგორ ამაყოფს,  
როცა ხარ სუსტი, ანდა ძლიერი...  
და როცა წუხარ, როგორ ღამდები,  
და როცა ხარობ, როგორ თენდები,  
როცა მკითხულობ, გრძნობ, რომ ვბერდები:  
„ჩემს სამშობლოში მე მოვევლე მხოლოდ  
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

2018

ღღსაც იუმბით ჰაუ: 12,42

- მოირები ქსოვენ ბადეს!
- რას გაუგებ ქალებს?!
  - კაცებს?
  - ვერ იპოვი ძაფის ბოლოს...
  - რას ეძახი: „ბიჭს“ თუ „გოგოს“?
  - საჭიროა ქვეყნად კაცი ამდენი?
  - მთავარია, ბავშვი იყოს ჯანმრთელი!
- გუშინ ვნახე უცნაური სიზმარი:  
ავისრულე სანუკვარი მიზანი,  
ვითომ ხალხში საიდუმლოდ გითხარი:  
გადავხერხე ეკლიანი ტიხარი!
- ჰოო, „სამხრეთის დედოფალი“  
თვითონ გვიგებს თურმე მახეს!
  - ასე უწერია მათეს?  
და სამსჯავრო?
  - არ იჯავრო!
- მოირები ქსოვენ ბადეს.

2018



## დაბოლოს:

ჟინ?

საჯად ღუთისა?

მე მივხვდი, რომ ვარ დრო –  
ჩემში ხან წვიმს, ხან თოვს,  
ხანდახან ვიცვლი ტონს –  
ეჭვი სიყვარულს მთხოვს?  
ვიცი პასუხი:  
ჰო, შენ ნამდვილად ხარ დრო!

ზოგჯერ განვალებს მახვილი ფერდში,  
მაინც ბრუნდები ყოველთვის ჩემში.



## II ღღის



## უკუქცია – სცე

აქ, ცის ქვეშეთში, არაფერი არ არს ახალი!  
ბრუნავს ისრები,

*უკუქცია, კოლქო*

თუმცა ყივის მაინც მამალი,

მთის მწვერვალებში

*მეცა, კოლქო*

იძირება ჩუმი ნისლები,

ბედნიერება გუშინ და დღეს, იცი, რა არის?

გახდე უცხო და ქალზე ქალური,

თუ მოგინდება, მამაკაცური!

ცვივა ისრები ციცქნა ამურის,

ამომდის ფრთები! ვაი, ღამურის?

2013



ესეც დიალოგია  
(რატომღაც ბროდსკი)

თუ მონოლოგი  
სულს ავადან?  
!

- მაკოცო უნდა?  
არ გინდა ლირიკა!
- რატომ მიყურებ ასე ირიბად?!
- ჰო, შემეცვალა სახის მიმიკა:  
მზის სხივი წუხდა!
- მაგრამ არ ქუხდა...  
გზები აგირია ბილიკმა,  
წამოდი, მანქანით მიგიყვან!

2013

## ნეთუ ჯაბისკაცეში ვაბთ?

(გიას მოგონებები)

– ხედავ, მომრავლდა შავი ხვრელები?!

მე უღუქსობას ველარ ვერევი,

ჩამოიხია ცაზე ვარსკვლავი,

ისევ დაიწვა გუშინ კარავი!

მერე რატომღაც ცისფრად გათოვდა...

როგორ უძლებდნენ ომს?

"ჯარავი" –

ხაჭალუხი სოფელი

– და კატორღა?

– თურმე სიჩუმე სიტყვას არ მთხოვდა...

– ალბათ, მზის სხივი გულით დაჰქონდა...

2013

## მატიამი – მატიამი

ზღვა ცა არის ცრემლიანი...  
არ მიზიდავს ლელიანი,  
გავეკიდე სხივის ბილიკს -  
ვერ გავუძლებ მინის ტკივილს,  
სისველეა ღამე ზღვისკენ,  
ის კი ადის მშრალი ცისკენ!

2013

ან უიცი

(„არა დამიტევო მე...“)

ნე. თანე მქონდა ლეზა,  
ღილა-საგამო სკოლაში.

ამ ქვეყნად როგორ ვიარო,  
ან როგორ მოვკვდე უშენოდ?  
იქნებ ჩურჩულით მიაგებო,  
სიტყვა როგორ ვთქვა უენოდ?

მზე როცა ქრება ღრუბლებში,  
ამ დროს რა ხდება გულებში?

2013

## მიკტუსმსი

(რატომ ციმციმებს ფილამენტები)

*filum - ძაფი (დაფ.)  
ჟოგინი - ზედასი  
სიხის ძაფი ზედა  
წილში*


... და „იყო წევდიადი“ – მუქი მატერია,  
წიგნებში ამაზე ბევრი რამ წერია...

მე წვრილმანებზე ვერ გშორდები, ვერ გეპუტები –  
გინახავს ცაზე მოციმციმე აბლაბუდები?

როგორ მიყვარხარ ნუ მეკითხები –  
ერთმანეთს ერწყმის გალაქტიკები!

ხომ არ დაგავიწყდა ბნელი ენერგია  
(ამაზე ვერ გეტყვი, რომ მხოლოდ მსმენია)?!  
ცხოვრება ამიტომ ძალიან ძნელია.

2013





## თანამშბტმლოში

ღრუბელსო მზისთვის  
ტირილით უთქვამს:

- თუ დაბნელდება ცაში,  
ველარ შეგხვდები გზაში!  
რატომ მოვცურდე, რისთვის,  
თუ წინ დამხვდება ბინდი  
და ვერ ავაგე სხივით  
ცისარტყელების ხიდი.  
ელვა ერთობა წვიმით,  
სულ დაუკარგავს რიდი!  
ნუ დანებდები შიშით,  
გამოანათე, მიდი!

მინამ შემოჰკრა ტაში,  
თან გააგრძელა ბრუნვა:

- მოვკვდები მხოლოდ მაშინ,  
თუ ამიკრძალებს სუნთქვა.

P.S.

შევხვებიანე მთვარეს:  
„მოგიხერხებო რამეს“.


ღრუბლო  
მზე  
წოწარწოწა  
აღვა  
ჩვილა  
მოხდა  
მთვარე

2013

## ღრთ

ველზე მოჩანს მოწყენილი გვირილები,  
მივდივარ და უმიზეზოდ ვიღიმები:  
საით მიდის უცნაური შარა,  
ვგრძნობ, რომ მინდა, გავიარო ჩქარა,  
იქნებ ბოლოს მაინც მივხვდე რამეს,  
შუქ-ჩრდილები მიმზადებენ მახეს,  
გვერდით მომდევს მთის ბორცვები მწვანე,  
ვუჩურჩულე: მომიყევით რამე!  
მიაშობენ „გზისიქითა ამბავს“:  
იქ სიკვდილი საკუთარ თავს არ ჰგავს!..

2013



ბა აბის მითი?  
(მერაბ მამარდაშვილს)

*Amicus Plato,  
sed magis amica veritas.  
Aristoteles*

ჭეშმარიტება ყველაფერზე თურმე მეტია!  
როგორ გგონია, ძალადობა არ შემხებია?  
სხეულით დამაქვს ტკივილი და მთელი სამყარო  
და ვიცი, ბოლოს იარაღი უნდა ამყარო!

2013

სჯთმს, იცის ესათაუტო  
(ზოგჯერ სიტყვებიც ხმაურობს...  
და მაინც: აბორტი)

- მართლა ქრებიან ბავშვები?
- ან იქნებ ბრუნავს წამი?
- გინახავს უსხეულო თვალები?  
მიდი, შეაღე კარი!  
არ ქრება ნაყოფი ფესვის:  
მზერა ტკივილებს მესვრის!
- შევადლო კარი? რისი?
- რა კითხვა უნდა? ცისკრის!

2013

ტა ატის?

„თქო ზეი სუჟის ჯაჟა მახვილი.“  
საჟა 2, 35  
საჟი „ზიჟიხიანი ჟაჟიჟილი.“

იცო, გაივლის შენში მახვილი  
და მაინც გესმის ყველას ძახილი.

როცა მახსენდება „მიძინება“,  
სამყარო ნისლში იძირება!

2013

## მთავარი თემა?

რა სიჩქარე აქვს ფიფქების ბრუნვას?  $V = \frac{s}{f}$   
რა სიდიდეა ფიქრი და ზრუნვა?  
და რა სიხშირით შეირხევა ფრთები პეპლების?  $Hz$   
განტოლებაა, თავდავინყებას როცა ვეძლევი?

ალბათ, ყველაფერს მოერგება მალე ფორმულა –  
რა განიცადა ლალატის წინ მაშინ ორგულმა!  
სიყვარულს გამოთვლის რიცხვი –  $11 \approx 3,14$   
და... როდის ვკვდებით, იცი?

2013

## თსუმი

(რა მოხდა კიდევ გოლგოთაზე)

მთის წვერზე გაცურდა ნისლი სისხლისფერი -  
ბრაზს თუ აიცდენდი, როგორ ვიფიქრებდი!  
ცრემლი დაიღვარა მხოლოდ ფსალმუნად,  
ტკივილი დაედო მიწას სალბუნად...

და მაინც, თვალები ჰქონდა დარდიანი,  
ხომ იცი, დედა იყო წმინდა მარიამი.

2013



## ცბიალქს ქლიწადი

(გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი)

არ გისწავლია სიყვარულის ფიზიკა?  
ინერცია თურმე სახლშიც კი მიგიყვანს.

როცა მოძრაობს ძალები ბირთვული,  
მაშინ ხდება ხოლმე რაღაც მიღმური.

აღმოვაჩინოთ ერთმანეთის მშვენიერება?  
ალბათ, ეს არის ჭეშმარიტი მეცნიერება.

ამ დროს ყველას ესმის მუსიკა, მგონი,  
გახსოვს ვივალდის „ნელინადის დრონი“?

2013

ბა აბის პატრუდი?

(ფერები... ბგერები... სიტყვა...  
თუ მითქმა, ან მოთქმა?)

მიკვირს, როგორ სუფთავდება ჭურჭელი  
და სიტყვებით იღებება ფურცელი.  
მგონი, გავხდი ბედნიერი სულელი,  
ალბათ, შიშსაც მხოლოდ ამით ვუშველი:  
ემოციები გამიხდა გრილი  
და სიყვარული ფუმფულა, რბილი,  
მაგრამ თვალები ზღვასავით ღრმა,  
ამას რად უნდა, ძვირფასო, თქმა?  
აკი, დღესაც ქვაფენილზე დავეცი,  
იქ მოასხეს წყალი ჭურჭლის ნარეცხი!

მიკვირს, როგორ სუფთავდება ჭურჭელი...

2013



## მედილიანი

იყო წითელი ტორსი,  
სახლი, წითელი ბილიკი  
და სადღაც იყო ცოლი –  
დავიწყებული ღიმილი...

რალაცის ტკივილს სუყველა ითმენს! „მ“ - აღსანიშნავი  
როცა შეგიცნობ ცხოვრების ქარში,  
მხოლოდ და მხოლოდ დავხატავ მაშინ  
შენს თვალებს ზღვისფერს - შემღვრეულ ცისფერს.

არ მინდა, ბოლო წუთს ითქვას:  
რომ ვგავარ ცარიელ ჭიქას!  
ხომ იცი, მონმარტს ათოვს  
წითელი არა-ფერს არ მთხოვს?

2013

ოტტოპიანო  
(ირმა)

სხოვან, ხოხუ ზაქუპიანო –  
ზაქუპიანო ზაქუპიანო!

საოცარია ყვავილების ფერადოვნება –  
მგონი, არც ერთი არ მეორდება!  
თუ ყველამ იცის,  
რომ ჩერდება სადღაც ცხოვრება,  
მაშინ ამდენი ნაცრისფერი რატომ გროვდება?!

ფურცლები ცვივა –  
მზემ ფერები ქარბუქს მიანდო...  
იცი, რა მტკივა?  
ტკივილი ჩუმი გამიჭირდება ზუსტად გიამბო,  
რადგან ყოფილა ფორტეზე რთული,  
დაუკრა კარგად თურმე პიანო...

2013

## შეწყვეტილი ლექსი

მუზა ფარფატებს ყურში,  
ფრთებს არხევს ყოველ წუთში,  
სანამ დავკარგავ სმენას,  
იქნებ მივაგნო თემას?

2014

## მთმის ჯატსკულავი

„მზე დედაა ჩემი“  
ხოლო მამა-მთვარე,  
ვარსკვლავების ძეგნით,  
მგონი, დავიღალე:  
მოვიქანცე წვიმით,  
ვიგუნდავე მიწით.

სულ ტყუილად ვჩივი:  
აი, ნისლში სხივი,  
გაიფანტა ლიბრი,  
მომემატა ხიბლი!

შუქი ციცქნა ვარსკვლავის –  
გასაკვირი რა არის?!

2014



## გასაუბრება სულგო (აბესალომი)

(გვახსენდება: სული გვექონდეს უსპეტაკეს თოვლის  
გველიმება: ენძელები ზამთარშიც ხომ მოდის).

მგონი, გავიგე  
ყველაზე მძიმე –  
როგორ ფარფატებს,  
როგორ მოივლის  
ნაცნობ და, ალბათ,  
უცხო სანახებს,  
თვალს გადაავლებს დროის საძვალეს,  
თან არ წაიღებს ხელშესახებს  
თურმე არაფერს...  
თაზე გადამხდარს გამოკიდებს კინოკადრებად  
და რომ გვგონია ყველაფერი  
ცუდად მთავრდება –  
მოვა სიმშვიდე!

ბევრი ვიფიქრე?  
მეც ეჭვმა გადამკრა სახრე –  
არადა, გუშინაც ჩემ გვერდით ვნახე!

2014

სამოსე -  
პეტრე -  
ქრისტე!

## დაკარგული ცოდნის ძიება

(ან: როცა ფეხებში გებლანდება ამპარტავენება,  
იქ უკვდავება თურმე მთავრდება)

ვიცი, მრავალჯერ ითქვა,  
მაინც მანუხებს კითხვა:  
ნეტავ „ხატად ღვთისას“ დააკლდა რა,  
როცა სიყვარულმა გადაჭრით თქვა:  
„ველარ იხილავ ნამდვილ სამყაროს,  
არ მოგასვენებს შური არასდროს!“  
საშიშია უკვდავების განცდა,  
დაცემულსაც, აკი, ხელი წასცდა!

2014



## მთგონება თუ გამთგონება

- გგონია, ჩაგიარა ცხოვრებამ გვერდზე?  
მაშინ რას იტყვი ღიმილზე, ლექსზე?
- უბრალოდ, ვდარდობ დაკარგულ ფერზე,  
ფრთები დამენვა, მგონია, ცეცხლზე...

2014

ბა გითსტა?

აი, გათენდა კვირა დღე,  
შენ სიყვარული ინატრე,  
მაგრამ არ ვიცი როგორი,  
სულაც არ ნუხდა გომორი...

და მახსენდება პილატე,  
რომ დაინახა სინათლე  
უცებ შეცვალა მიმიკა,  
გაოცებულმა იკითხა:  
„რა არის ქეშმარიტება?“ იოანე 18, 37-38

„თუ ვერ გრძნობ, ეს არ ითქმება“ –  
იყო პასუხი ცოლის,  
ამას მიხვდები!  
როდის?

P.S.

კარგია ხელის დაბანა,  
სიყვარულისთვის არ კმარა!

2014

## მბრუნავს და მბრუნავს

- სიყვარული და ხალისი  
მინას აბრუნებს თავისით!
- თუ ჩამოხტომა არ ვიცი,  
- თავბრუს დაგვახვევს მაისი?
- ეკალბარდებში იცინის ვარდი,  
შეძლებ ადგომას, თუკი დავარდი?
- ჯარიმა მელის? ფულადი?
- „ვერტიკალურად ბრუნვადი“!

2014

## სუბტიმ?

(არა, რა მეხუმრება, მგონი, სუნთქვა უქმდება)

- ამ ქვეყნად ყველა დაატარებს თავის ჯოჯოხეთს,  
გინდა გამოსცდეს დიდ ქალაქს  
და გინდა – ორლობეს.
- და შენ გგონია, რომ არ გაგიჟდე,  
მაინცდამაინც უნდა გაჯიქდე?  
იქნებ რომ იყო დრეკადი,  
ცხოვრება გახდეს ფერადი?!
- უფეროს ხომ სჯობს ზოლები?!  
გავინაწილოთ როლები?!
- მაინც შავ-თეთრი ინატრე!  
ერთი ფერია სინათლე?

2014

## თათა ჭილაძე

...და მისი ლექსი მაგონებს სუნთქვას  
ნუთუ მანამდე არავის უთქვამს?  
ეს აქ ყოფნაა დაწერილი სულ სხვა ყოფიდან –  
გაიგებ კიდეც რატომ მოდიხარ...

და სუთქვა ითვლის სუყველა განცდას...  
ჰო, დასასრული იქ მართლა არ ჩანს.

2015

ზღვა ღულავს?

იყრქ ხამ გააჩნა  
მკინო ზოგა?!

(ფერზე, მინდოდა მეთქვა...)

- გამუქება ლურჯის  
საქმეო ფუნჯის,  
გაშაგება ზღვის?  
მგონი, წვიმა ცრის!..
- ზღვას შეერია სისხლი და სევდა –
- ფერი? ჰო, გრძნობებს ქვიშაზე ფენდა...

2015



## თაიგული: ძტიგან – თებუმი (გურამი და მეგობრები)

### 1. წრებრუნვა

იცო, ნუ იტყვი – არავის გავხარო,  
ლექსით დაწყებულა ბრუნვა და სამყარო,  
და უკვე ითქვა სათქმელი, მგონი:  
იყო მშვიდობა და იყო ომი...  
და არ იცვლება მიზანსცენები,  
მაინც გვაოცებს შემოდგომის  
ქრიზანთემები.

### 2. გამა: მუსიკალური, ფერთა, გამოსხივება

გინდა, ყველაფერს ჩააცვა ჭრელი –  
სასაცილოა ჩემი და შენი!  
გაიფანტება მცენარის მტვერი –  
როგორც აზრები,  
სამყაროს თურმე არ ჰქონია  
დროის ფაზები!

P.S.

და, იცი, მაინც ამაღელვებს ჭრელმა თემებმა?!  
ჰო, შემოდგომა გამახსენეს ქრიზანთემებმა.

2015

## ღა ისუჲ ვცუჲათ?

ცხოვრებას ვკემსავთ,  
ტყუილს და მართალს თანაბრად ვკენკავთ...  
იცი, რა მინდა ყველაზე მეტად?  
გადავაგორო შური, ხანძარი...  
ზოგჯერ, მგონია, ნავთსაყუდარი მართლაც აქ არის.

2015



## სიბიბიზუ

ამ სამყაროში მოველ შიშველი  
და, იმედი მაქვს, ნავალ ჩაცმული!  
ნუთუ, გგონია, მართლა მიშველი –  
თუკი მაჩუქე ერთი ბგერა, ლექსი, ფსალმუნი?  
მინის ჯაჭვები ჩამომხსენი, მძიმე, ფარული!  
ინტუიცია მიჩურჩულებს! ალბათ, ქალური?..

2015



და... ისევ მბიბუ დღეებია...

„სეთი“ - ეპოქური ჰიპოთეზა  
ქაოსი, შესახად, იმის  
კავშირი.

„შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“  
ბევრი ლაპარაკი ახლა ზედმეტია!  
ეს შენთვის მოვექსოვე – ნაზი ფერებია,  
ცხოვრება ზოგჯერ თურმე ე - „სეთია“!  
იქნებ, სულგრძელობას მიაწვდინო თვალი –  
აი, ტყე, მზის სხივი და, აგერ, წყალი!

2015

## აპტილოში ბუთბრეშა, მგონი...

ნუთუ დღეს მართლა მიკვდება ლექსი?  
თუმცა ადრეც იყო ტკივილი, ცეცხლი;  
ჰო, განვიცადე: სიცოცხლის ბოლოს დაიპნა ვერცხლი...  
და უცებ მივხვდი:  
ტყვიებთან ერთად სიტყვებსაც მესვრი!

2016

## წითელი პატასკუი – ცოლს

- რა არის ტკივილი?  
სიმწრისგან კივილი?
- რა არის ჯვარცმა?
- ვნება და ტანჯვა?
- გახსოვს, რომ გასცა,  
სიყვარულს გასცდა...
- სიყვარული ხომ სულ იყიდება!  
აბა, რა არის თვითდამკვიდრება?!
- იცი, მაინც მინდა, ძალა მქონდეს,  
რომ გითხრა: „მე ვსძლიე წუთის სოფელს!“

2016

## პასუხი ოქსპტომფად

მაინც რატომ მოხდა დიდი აფეთქება  
და მიზიდულობა თითქმის არ გვეშვება?  
დღეს სხვანაირია ნუთუ ჰარმონია?  
ბოლომდე რატომღაც მაინც არ მგონია:  
შუეს პლიუს სიბნელე რომ ნულის ტოლია,  
მინა კი სივრცისთვის რომ მხოლოდ ფონია...

იქნებ სიბნელეში სხივი ქალად იქცა?  
ჰოდა, დაიბადა ჩვენი დედა-მინა.

2016

## სიატული

ბილიკს მივუყვებით ერთად  
და გზაზე ჩვენს გრძნობებს ვპენტავთ...  
იქნებ სველი იყო თავიდანვე?  
ნუთუ მზის სხივები დაინანე?  
ვიხსენებ გზის ტკივილს...  
ვეძებ ცის ნაკუნებს...  
და ვხვდებით, წლები  
სიყვარულს არ აფუჭებს.

2016

საით?

(მზია)

გაკრთა ჰაერი!

ნუთუ სიყვარულს მართლა არ ელი?

ვიცი, მოგწყინდა ცხოვრებით დაღლა,

ფრთებმოტეხილი, როგორ გინდა, აფრინდე მაღლა?

– სიცარიელე თანაბრად სუნთქავს!

– ჰო, დედამინა ბრუნავს და ბრუნავს!

2016

ჩუმი შემტეგმა – იმპრესიონიზმი  
ისეუ თანამგზავში  
(ვაშლოვანის ესკიზი – დაბადების დღე)

მე ბევრჯერ მოგკვდი სხვისი სიკვდილით,  
მაგრამ ნუ მკითხავ, როდის?  
მოდის, წავიდეთ ვინრო ბილიკით,  
იქიდან შუქი მოდის  
და მოგვიქარგავს ღრუბლებს სევდიანს  
მთებზე გაკიდულს ყვითლად,  
ჰო, გადავსერავთ ზღვის ფსკერს, ლელიანს  
და შარაგზასთან მივალთ!  
ნისლი მოგვახვევს ზღაპრის საბურველს,  
ხელით ვეხებით ოქროს განულებს  
გზა დროის ბრუნვას ნუთუ ანულებს?

P.S.

არ მეფიქრება, დღეს მედია რას გააშუქებს...

2016



მაცულთუანი ჭაჭველი ჭაჭველი  
(ისევ ჩვეზე, ადამიანებზე)

ყველა სიკეთე აქ არის –  
ჩვენშიც ხომ იწვის მაყვალი!  
და სიცხოველე ცეცხლის –  
მზერა სიყვარულს მესვრის!  
თუ დაინახავ, კარგია,  
თორემ ეკალში რა ყრია?

2017

## სულთმთუნთმა

მგზავრული – გავცდით სადახლოს

რკინიგზას აცოცხლებს ყაყაჩოს ბილიკები,  
გზებზე კი რჩება დაღლა და ტკივილები...

ამ სისხლის წვეთებზე მიყვება ყაყაჩო:

– „წითელი არმიის კვალდაკვალ...“

1921წ.

ღიღილოს სურნელმა მინდორში დამაღრჩო,  
ვთხოვ, რომ არაფერი აღარ თქვან

დაღენილ ქვებზე და ლაჟვარდ ფრესკებზე...

ეს თითქოს მაცლისო არაქათს!

თვალს მოვხუჭავ და ლავანდას იისფრით

გავხედავ სევანს და არარატს.

2017

შენ საბ...!


ყველა ქოხე -  
გეგმული სიზოლო  
პოეზი.

(მოტივი - შტეფან გეორგე და ...გიორგი - გოგა?)

„შენ ხარ ხმალი და შენ ხარ ქარქაში“,  
თან ხარ სიმშვიდე, თანაც განგაში!  
ჩემში იცვლები როგორც მუსიკა,  
ძველი ტუნიკა, ფერთა თამაში.  
ხან ნათელია, ხან კიდევ ბნელა,  
თუმცა ტრიალებ ძალიან ნელა,  
მე ცეკვა-ცეკვით ველარ გენევი,  
შენ არ მასწავლე სუნთქვის ბგერები?  
და როგორ უნდა ვცვალო ფერები,  
რომ არ ჩამისვას ტკივილმა ქიში!  
მე შენით ვძლიე სამყაროს შიში.

ქოხე-ქოხე —  
თოხილუხელი.

2017



## დასათლავმა – უმბოტცო უტ (ბუტკო)

სიკვდილი და კედელი, – ამბობს თურმე ეკო,  
კარის გასაჭრელად ძალები არ ეყო...  
პეპლის ფრთების მტვერი  
ხელზე რჩება ლაქად  
და სიტყვების ასხმა ღირს კი რამის ფასად?

P.S.

– ამ სიტყვების ასხმა, მგონი, არის ჯვარცმა.

2017



## მზე შინ შებნდი

(ამაღლება)

გზაზე შემოდგა სიბნელე მუქი,  
ჩამოიფარეს ლიბრი ღრუბლებმა.

შემომეფთა მზის სხივის შუქი  
და მივხვდი, სევდის არ მაქვს უფლება.

ჰო, სიბნელეში მზე შინ, მზე გარეთ,  
მზე შინ შემოდი – თურმე გელოდი!  
რამდენი ითქვა, რამდენი – არა...  
პირველი სიტყვა, მე მგონი, კმარა.

2018

## ცუდი ლექსი

მინდა, გიმღერო სიმღერა ტკივილზე,  
იქნებ უარი თქვა კივილზე?  
მინდა, დაგაფრქვიო ფურცლები ვარდის  
– ძველი სალბუნია დარდის.  
იცო, ადვილია გარითმვა ტექსტის,  
თუკი მისი ხმა გესმის.

საფლავებს ნუში ათოვს,  
თუკი აქ ეძებ პათოსს...

2018

## ბრწყინვალე, მთვარე

- გუშინ მიმატოვა მუზამ!
- მერე ნაფიქრს რაღას უზამ?  
ჰო, დავწერე „ცუდი ლექსი“ –  
„მესვრი-გესვრი“, „ძირი-ფესვი“.  
გამხმარ ვაზს, ნეტავ, როგორღა გასხლავ?  
ჩამომეხია სულმთლად ძაძები!  
„ტანი კალმად მაქვს, კალამი...“  
ჩემო, „ნალველში“ არის „ამონაწები.“

2018

## თბაგმუნცი

სევდას ბოლო უჩანს?  
მივუყვები ქუჩას.  
გამახსენდა ეკო:  
ფანტაზია ეყო!

2018



ნინოს

(1 ივნისი)

ვიცი, მაყვლოვანს ცეცხლი ანთია,  
მაინც გადავწვი გუშინ ვარძია,  
გამიძლიერდა ოქროს ხალისი,  
დავაქუცმაცე ისევ სანმისი,  
ისევ გავყიდე ჩემი სარტყელი  
და ასე გავხდი ნაგავსაყრელი!  
ბოდიშის ძეხნა, ალბათ, კარგია  
და სიყვარული აქ ხომ არ ყრია?

2018

ლტცვა – ქტთსჟულ სჯტ...

„კურთხელ ხარ შენ დედათა შორის  
და“ ... ჩავრთე ტელევიზორი

ნამიყვანე, ღვთისმშობელო მარიამ!  
გამიჭირდა მე აქ ყოფნა ძალიან.  
ერთმა ქალმა ამიკრძალა შაქარი,  
როცა ინვის დედამინის ტაძარი.  
მეორემ კი შემიჩვენა კალამი –  
შემიცვალა ზაფხული და ზამთარი.  
მესამემ თქვა:  
ღვთისმშობელი ქალია,  
ორსულობა, ალბათ, მისი ბრალია...  
კაცებმა კი გესლი, წყევლა აზილეს –  
შეუტიეს სიყვარულის ნაპირებს.  
ეს ნაყოფი ნუთუ მართლა მკვდარია?  
სუნთქვა მეკვრის, ჩემს გზებზე კი ქარია.  
ვიცი, ლოცვა ჩემთვის ახლა ფარია,  
სულში ტირის ტექსტი – Ave Maria!  
დამეხმარე, ღვთისმშობელო მარიამ!


2018

## ცეკვა-ცბიალი

მომწყინდა უღლება  
„ყოფნა“ ზმნის,  
სხვა პირში ვერ ვიტყვი:  
„წვიმა ცრის,  
„ქარი ჰქრის!“  
ამიტომ მიზიდავს ცეკვა,  
როცა ვივინყებ, რა უნდა მეთქვა...  
და სიყვარულიც თითქოს იმღერებს,  
როცა გავყვები წრეზე ქიმერებს...  
და, დერვიშით ტრიალის დროს,  
ველარ ვიხსენებ „თავსხმას“,  
შენც ვერ მიჰყვები „ჯვარცმას“?

ნამის სურნელი შეაშრა მიწას  
და...  
გვირიგებენ ოთხივე ფიცარს?!

2018



## განადგურება – თანდობი, გაბოღლება ამსუტრის კადრში!

ნუ შემომაცლი ფურცლებს იისფერს,  
ყველა მათგანი თავის ფერს ერთხელ მაინც მიიღებს.  
ნუ გამომაცლი ფეხებქვეშ მინას,  
მე მაინც ვივლი  
და შენ მოგიწევს ზედმეტი ფიქრი:  
რა მოსდის თიხას,  
როცა მზის ერთ სხივს ათინათი თავისთან მიჰყავს.

2018



იბრძოლ?

ისე ჩვენზე, ადამიანებზე...

“Wille zur Macht”,

was glücklich macht?!

საუკუნეა დღევანდის მედია:

გულმონწყალება მართლაც ღმერთია?

მიზანსცენა ხომ თითქმის ერთია...

და მახსენდება ვაჟა-ფშაველა

გული ჰქონია „ერთიმტკაველა“.

2019



## წიტილი

ლეღავს პანკისი,  
კვდება ხალისი,  
გვტკივა პარიზი,  
საინტერესო კიდეც რა ვიცი?  
ტაძარს მოქარგავს ბზების ბილიკი,  
იქვე ჩამესმის ჩუმი ქილიკი: –  
ჭრელი ჭორივით გახმინდება  
ხვალ საქართველოს გაბრწყვიალება!

2019

## მიჩიქიქიქმა

წვიმა ისევ ცრიდა,  
სიყვარული მცდიდა,  
აჭიკჭიკდა ტოტზე  
ჩიტი ერთი ციდა:  
„მინა ბრუნავს წრეზე,  
შენ იფიქრე მზეზე –  
სხივი მიდის ყველგან,  
გესწავლება ჩემგან?!“

2019

## თღმძრის მტატგმნულთან გასაუბრძა

- ნუთუ ზოგადი არქეტიპია?  
ზოგჯერ „ტიპია“,  
ზოგჯერ სწავლული?  
ფაქიზად ესმის თემა ქალური?  
ენება მალული?  
და მახსენდება ისევ ფსალმუნი:  
„დევნა მან კაცი დავრდომილი და  
გლახაკი“...
- ეს ერთხელ იყო!
- როგორც სახადი?
- უფრო არა-კი.
- ნუთუ ზოგადი არქეტიპია:  
ჭემმარიტება ჯვარზე ჰკიდია!

2019

## მამამეილთმა

ვუძღვნი დედებს

ოქრომკერდით მოქარგულა ზეცა,  
მაგრამ გულზე უცნაურად მეცა:  
გალიმება - ყინულების ბილიკი,  
თმის ღერებში მიმაღული ქილიკი,  
შავი გიშრით მოკირწყლული სიტყვა,  
რაც დაიპნა, ანდა, რაც არ ითქვა...  
შემეშინდა, რომ დამაზრობს სეტყვა  
და მომინდა, მარგალიტად მეთქვა...

გამახსენდა: ჩემი გიშრის გრძელი მძივი,  
ტუჩის კუთხეებში ლოლუები ცივი...

მივხვდი, რომ ხარ დიდი  
და იცხოვრე, მიდი!

2019



ლტჯა – „ისილეთ და განიცადეთ!“

ჩავრთე ისევ ტელევიზორი

უფალო, შემინყაღე!

ვნახე და განვიცადე!

ეკრანიდან სიძულვილი მლოცავს:

შურს ხომ დღესაც ჭრელი კაბა მოსავს

და ხლართები - ერთმოყვარე მცოცავს.

ახლა მივხვდი, რას ერჩოდნენ მგოსანს,

როცა ქვიშა მიაყარეს შოთას.

მოყვითალო შეეპარა ფოთლებს:

გაუმარჯოს უკვე მკვდრებს და ცოცხლებს!

და... ჩამესმის:

მოგატეხავ ტოტებს!

ახლა მივხვდი, რას ერჩოდნენ მოსეს,

ქრისტე რატომ მოევლინა ბოსელს.

უფალო, შემინყაღე!

გთხოვ, ერთხელ კიდევ სცადე!

ვნახე და განვიცადე.

2019

ქამიანთმის ქამი!

22,53

„ეს თქვენი ჟამია,“  
„სიბნელის ხელმწიფება!“  
ნუთუ სიყვარული  
ალარ დამწიფდება?  
- შენ მართლა გჯერა:  
გაცოცხლდა მკვდარი?  
- ვერ გიპასუხებ:  
პირში მაქვს წყალი.  
-გამოიცანი,  
დაგარტყა ვინ?  
- მართლა ვერ ხედავ,  
რა გიდგას წინ?  
ოთხი ფიცარი -  
ალბათ, მიცანი?!

2020

გაცხტეს კანამი?!

(პირველი სასწაული)

თუკი სიკვდილი მეძახის,  
თავს ვერ დავიძვრენ ვერაფრით?  
გზას გამინათებ კელაპტრით?  
ტოტი მაჩუქე ვენახის!

2020

გზაზე მატლის ლიდი?

(გამახსენდა ლოტის ცოლი)

- ნეტავ, რით დადნება მარილის ქვა?
- მგონი, უშველის ზღვა,  
ვერც კი შეამჩნევ ცვლილებებს წყალს!
- მაგრამ ყვავილზე ნამცვრევის კვალს?
- იცი, ეგ განკურნავს სხვას...
- და, ნეტავ, შველის რას?

2020

მატყვალე ქაე, 13, 33

- „რას შევადარო სასუფეველი?  
პატარა მარცვალს მდოგვის!“
- და, გაფუვდება როდის?
- თუ დარჩა ლექსი დაუნერეელი,  
სიტყვა ხომ ცოცხლად მოდის!

2020

## დაბოლოს:

ღიღამიწა

(ისევ ჩვენ, ისევ ადამიანები)

იგივე ფიქრი და იგივე სწავლება,  
„დეჟა ვუ“ მაქვს?  
თუ წარსული არ ქრება?  
უბრალოდ ასეა:  
ღრუბლები ცაზეა,  
სხივები? –  
ყველგან!  
მინდოდა, რაღაც ახალი მეთქვა...  
და ვერ გადავხტი ცხოვრების მიღმა:  
არ მომანებო არც ერთი სტიგმა!

